

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს აიონრაიზ

2021 წლის 31 დეკემბერი

დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
შპს აიონრაიზის მმართველობის ანგარიშგება	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანთ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს აიონრაიზის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს აიონრაიზ-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ კომპანიის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარში

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	20,172,013	20,772,009
		20,172,013	20,772,009
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	5,194,595	1,872,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	243,574	453,755
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	4,676	562
		5,442,845	2,326,448
სულ აქტივები		25,614,858	23,098,457
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	17,290,221	17,290,221
დამატებით კაპიტალში შენატანი	8	410,427	401,740
დაგროვილი ზარალი		(13,727,051)	(12,094,705)
		3,973,597	5,597,256
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	291,110	4,481,107
საიჯარო ვალდებულებები	10	3,124,051	3,591,669
		3,415,161	8,072,776
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	9	12,013,935	5,301,985
საიჯარო ვალდებულებები	10	760,659	1,310,463
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,451,506	2,815,977
		18,226,100	9,428,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,614,858	23,098,457

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს:

ვალერი კუხალაშვილი

ნოდარ კვირია

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-36 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარში

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	20,172,013	20,772,009
		20,172,013	20,772,009
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	5,194,595	1,872,131
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	243,574	453,755
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	4,676	562
		5,442,845	2,326,448
სულ აქტივები		25,614,858	23,098,457
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	17,290,221	17,290,221
დამატებითი კაპიტალში შენატანი	8	410,427	401,740
დაგროვილი ზარალი		(13,727,051)	(12,094,705)
		3,973,597	5,597,256
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	291,110	4,481,107
საიჯარო ვალდებულებები	10	3,124,051	3,591,669
		3,415,161	8,072,776
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	9	12,013,935	5,301,985
საიჯარო ვალდებულებები	10	760,659	1,310,463
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	5,451,506	2,815,977
		18,226,100	9,428,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,614,858	23,098,457

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს:

ვალერი კუსალაშვილი
დირექტორი



ნოდარ კვირია
ფინანსური დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-36 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარში

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	12	5,114,422	4,428,168
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(5,798,057)	(4,711,461)
საერთო ზარალი		(683,635)	(283,293)
სხვა შემოსავალი	14	1,578,418	164,894
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(111,679)	(552,814)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,548,495)	(1,790,415)
სხვა ხარჯები		(39,917)	(531)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(805,308)	(2,462,159)
ფინანსური ხარჯი	17	(2,019,310)	(1,702,354)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	0	1,192,272	(1,576,511)
ზარალი დაბეგვრამდე		(1,632,346)	(5,741,024)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(1,632,346)	(5,741,024)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(1,632,346)	(5,741,024)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-36 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარში

	საწესდებო კაპიტალი	შენატანი კაპიტალში	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2020	17,290,221	283,134	(6,353,681)	11,219,674
წლის ზარალი	-	-	(5,741,024)	(5,741,024)
წლის სრული ზარალი	-	-	(5,741,024)	(5,741,024)
დამატებითი კაპიტალი (შენიშვნა 8 და 9)	-	118,606	-	118,606
ოპერაციები მფლობელებთან	-	118,606	-	118,606
31 დეკემბერი 2020	17,290,221	401,740	(12,094,705)	5,597,256
წლის ზარალი	-	-	(1,632,346)	(1,632,346)
სრული წლის ზარალი	-	-	(1,632,346)	(1,632,346)
დამატებითი კაპიტალი (შენიშვნა 8 და 9)	-	8,687	-	8,687
ოპერაციები მფლობელებთან	-	8,687	-	8,687
31 დეკემბერი 2021	17,290,221	410,427	(13,727,051)	3,973,597

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-36 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წლის ზარალი	(1,632,346)	(5,741,024)
კორექტირებები:		
ცვთის ხარჯი	609,760	755,686
ფინანსური ხარჯი	2,019,310	1,702,354
ზარალი/(მოგება) საკურსო სხვაობიდან	(1,192,272)	1,576,511
საექვო მოთხოვნების რეზერვი	285,432	-
სხვა შემოსავალი	(1,578,418)	164,600
საოპერაციო ზარალი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	(1,488,534)	(1,541,873)
ცვლილება მარაგებში	(3,322,464)	1,795,090
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(100,827)	353,006
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	4,331,625	(531,979)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(580,200)	74,244
გადახდილი პროცენტი	(2,918,062)	(511,484)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში	(3,498,262)	(437,240)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა	(14,430)	(25,981)
ფულადი ნაკადების ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	4,666	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(9,764)	(25,981)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან სესხებიდან მიღებული ფული	4,406,894	587,415
სესხებზე გადახდილი ფული	(497,604)	(244,603)
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(376,077)	(154,744)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	4,406,894	587,415
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა კლება/ზრდა	25,187	(275,153)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	562	284,188
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(21,073)	(8,473)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	4,676	562

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-36 გვერდებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს აიონრაიზ-ი, ს.ნ. 412723218 (კომპანია) დაარსდა 2016 წლის 15 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მზის პანელების წარმოება და რეალიზაცია, როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ ბაზრებზე. კომპანია აგრეთვე ახორციელებს ჩინეთში შეძენილი სარეალიზაციოდ გამზადებული მზის პანელების გადაყიდვას. წარმოების პროცესი დაიწყო 2019 წლის ივლისში.

მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ავტომაშენებლის ქ., №88 (ჰუალინგ ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა).

კომპანიის აქციონერები და მათი პროცენტული სტრუქტურა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სახელი	ქვეყანა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შპს AE ინვესტ	გერმანია	0%	33%
სს სოლარ AE	მექსიკა	4%	4%
აბდულაჰ აბდულრაჰმან ა. ალმუჰსეინი	საუდის არაბეთის სამეფო	41%	41%
შპს აიონრაიზ (ს.ნ.6405390232)	საქართველო	55%	22%

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გიორგი ბაჩიაშვილი.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 64 (2020:56 თანამშრომელი).

ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების მიხედვით, კომპანია არ არის საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ვითარება მსოფლიოში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად გამწვავდა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული და ომის შედეგები/ეფექტი გლობალურ ეკონომიკაზე, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს პანდემიის შესაძლო სამომავლო გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-20.1 შენიშვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის საუკეთესო ცოდნას მიმდინარე მოვლენებისა და ქმედებების შესახებ, ფაქტობრივი შედეგები საბოლოოდ შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება სათანადოდ იმ წელს, როდესაც შეიცვლება გარემოებები.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბუთს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შესაბამისად კომპანიის ოპერაციებს.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან

ქვემოთ მოცემულია 2021 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
Various	საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმის ფაზა 2 (ცვლილებები ფასს 9, ბასს 39, ფასს 16, ფასს 4 და ფასს 7-ში)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ნაადრევად გამოყენებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

მენეჯმენტი არ მოელოს რომ ამ სტანდარტების მიღებას ექნება არსებითი გავლენა მომავალი წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება	სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი
ფასს 16	COVID-19 ჟირასთან დაკავშირებული შედავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ	1 აპრილი 2021
ფასს 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორება)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორება)	1 იანვარი 2022
ბასს 37	წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის შესწორება)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	2018-2020 წლებში განხორციელებული ფასს გაუმჯობესებები (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ბასს 41-ისა და ფასს 16-ის შესწორებები)	1 იანვარი 2022
ფასს 17	ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
ფასს 4	ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების გაგრძელება (ფასს 4-ის შესწორება)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება - შესადარისი ინფორმაცია (ფასს 17-ის შესწორება)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ბასს 1-ის შესწორება)	1 იანვარი 2023
ბასს 12	ერთი ტრანზაქციის შედეგად წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ბასს 12-ის შესწორება)	1 იანვარი 2023

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი, ერთი ევრო 4.0233). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი

მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით და იგი მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ მომავალში შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა, გარდა მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებზე, ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებს ცვეთა ერიცხება მათი გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდის შესაბამისად. მწარმოებლობის ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზად არის გამოსაყენებლად. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	- 10 წელი
იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	- 10 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 2,800 მეგავატი
ავეჯი და ინვენტარი	- 7 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 5 წელი
ავტომობილები	- 5 წელი

3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარგალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

იჯარა განიმარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო აღრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება ჩათვლილია ძირითად საშუალებებში და საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია გაცალკევებით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანია, როგორც მეიჯარე, გამოყოფს იჯარის ორ კლასს - საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებს.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუკი იგი გადასცემს არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს განსაზღვრული აქტივის მფლობელს, ხოლო თუ არ გადასცემს, მაშინ იგი კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

3.5 მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. ისეთი ნივთები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე ინვენტარი და მომსახურებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა ასევე აღიარდება, როგორც მარაგი, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 21.2-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმწიკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელმწიკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" (FVTPL), თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

წილობრივი ინსტრუმენტების შემთხვევაში, გარიგების ფასი მიჩნეულია ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებად ანგარიშსწორების თარიღისთვის თუ სახეზე არ არის ქვემოთ მოცემული ინდიკატორები:

- ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი ცვლილება ბიუჯეტთან, გეგმებთან და საკონტროლო ორიენტირებთან შედარებით;
- ცვლილება მოლოდინში, რომ ინვესტირებული საწარმოს ტექნიკური პროდუქტის საკონტროლო მაჩვენებლები მიღწეული იქნება;
- ინვესტირებული საწარმოს კაპიტალის, პროდუქციის ან პოტენციური პროდუქციის ბაზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები გლობალურ ეკონომიკაში, ან ეკონომიკურ გარემოში, სადაც საქმიანობს ინვესტირებული საწარმო;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები შესადარისი საწარმოების საქმიანობაში, ან საერთო საბაზრო შეფასებებში;
- ინვესტირებული საწარმოს შიდა ფაქტორები, როგორიცაა თადლითობა, კომერციული დავები, კანონმდებლობა, ხელმძღვანელობის ან სტრატეგიის ცვლილებები;
- ინვესტირებული საწარმოს საკუთარ კაპიტალზე განხორციელებული გარე გარიგებების მტკიცებულებები, თავად ინვესტირებული საწარმოს მონაწილეობით (როგორიცაა, მაგალითად აქციების ახალი ემისია), ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემით მესამე მხარეთა შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმწიკრულებო აქტივებს, რემიტირებადი აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)

- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმწიფო აქტივები

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია თანხების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	<30	31-60	61-90	91-180	180>
დარეზერვების პროცენტულობა	0%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექსპო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნაში 21.2.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზირებადი ღირებულებით.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარი გადახდები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდის ოდენობა გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაში მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოსალოდნელი გახდება ამ აქტივიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს ამ გადახდასთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას. თუ არსებობს მოლოდინი იმისა, რომ კომპანია ვერ მიიღებს აქტივებს, საქონელს ან მომსახურებას, რომლებიც უკავშირდება წინასწარ გადახდას, შესაბამისი ოდენობის წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ამავე ოდენობის გაუფასურების ზარალი იქნება აღიარებული წლის მოგება-ზარალში.

3.8 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების, ურთიერთგადაფარვა ხორციელდება, და ფინანსურ ანგარიშგებებში აისახება წმინდა ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთგადაფარვის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

წმინდა შემოსავალი და ხარჯები წარმოდგენილია ბუღალტრული არიცხვის და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად როდესაც არის დაშვებული, ან მოგება და ზარალი წარმოიქმნება ჯგუფში მსგავსი ტრანზაქციებიდან როგორც არის კომპანიის სავაჭრო საქმიანობა.

3.9 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება ვალდებულების დასაფარად. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით. განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებების სპეციფიკურ რისკებს.

3.10 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებს

ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიან, მაღალილიკვირ ინვესტიციებთან ერთად, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულადი სახსრების განსაზღვრულ ოდენობებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. კომპანია ფულადი სახსრების ექვივალენტებს ფლობს მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად და არა საინვესტიციო ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია აკლასიფიცირებს ინვესტიციებს ფულადი სახსრების ექვივალენტად, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადია ნაღდი ფულის განსაზღვრულ ოდენობაზე და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე. დამტკიცებული კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, რამდენადაც იგი რეალურად შეტანილია აქციონერის მიერ კომპანიაში.

დამატებითი კონტრიბუცია კაპიტალში წარმოადგენს სხვაობას აქციონერთა სესხების ნომინალურ ღირებულებასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის აღიარების თარიღისთვის, დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადებით - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დაგროვილი ზარალი მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ ზარალს.

3.12 მოგების გადასახადი

დაარსების დღიდან კომპანია რეგისტრირებულია „ჰუალინგ ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“. „ჰუალინგ ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ რეგისტრირებული საწარმოები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან, კერძოდ, გათავისუფლება ეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ფიზიკური საწარმოს მიერ ნებადართული საქმიანობიდან მოგების განაწილებას და იმავე საქმიანობის ფარგლებში გაწეულ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

იმის გამო, რომ კომპანიის ოპერაციები გათავისუფლებულია კორპორატიული მოგების გადასახადისგან, არ არის ჩამოყალიბებული ბასს 12-ით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია საშემოსავლო გადასახადებში.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელის შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

3.14 შემოსავალი

იმის დასადგენად, აღიაროს თუ არა შემოსავალი, კომპანია მიჰყვება 5-საფეხურიან პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა
3. გარიგების ფასის დადგენა
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც/როგორც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ფოტოელექტრონიკის მოდულების/მზის პანელების გაყიდვიდან და ის აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს საქონლის კლიენტებზე გადაცემის შესრულების ვალდებულებებს. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარში

	შენიშვნები	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	საოფისე აღჭურვილობა	ავტომობილები	სულ
<i>თვითღირებულება</i>							
2019 წლის 31 დეკემბერი	2,566,165	3,032,266	15,638,535	178,734	108,827	157,899	21,682,426
შემოსვლა	-	13,771	4,212	103	6,200	1,695	25,981
იჯარის მოდიფიკაცია	(164,600)	-	682,172	-	-	2,986	520,558
2020 წლის 31 დეკემბერი	2,401,565	3,046,037	16,324,919	178,837	115,027	162,580	22,228,965
შემოსვლა	-	-	8,541	2,646	3,243	-	14,430
გასვლა	-	-	(4,431)	(1,547)	(1,715)	-	(7,693)
2021 წლის 31 დეკემბერი	2,401,565	3,046,037	16,329,029	179,936	116,555	162,580	22,235,702
<i>დაგროვილი ცვეთა</i>							
2019 წლის 31 დეკემბერი	383,295	189,945	81,197	19,221	8,921	18,691	701,270
წლის ცვეთა	240,157	327,639	99,898	41,467	14,603	31,922	755,686
2020 წლის 31 დეკემბერი	623,452	517,584	181,095	60,688	23,524	50,613	1,456,956
წლის ცვეთა	120,079	293,908	98,697	40,767	23,793	32,516	609,760
ცვეთის შედეგად ელიმინაცია	-	-	(2,360)	(427)	(240)	-	(3,027)
2021 წლის 31 დეკემბერი	743,531	811,492	277,432	101,028	47,077	83,129	2,063,689
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
2020 წლის 31 დეკემბერი	1,778,113	2,528,453	16,143,824	118,149	91,503.00	111,967	20,772,009
2021 წლის 31 დეკემბერი	1,658,034	2,234,545	16,051,597	78,908	69,478	79,451	20,172,013

2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 6,857,574 ლარის ოდენობით გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (2020: 7,356,913 ლარი) (იხ. შენიშვნა 9).

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა შემდეგნაირად:

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (იხილეთ შენიშვნა 13)	487,338	359,530
ადმინისტრაციული ხარჯები (იხილეთ შენიშვნა 15)	122,422	396,156
	609,760	755,686

ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივების გამოყენების უფლებას, რომლებიც განაწილებულია შემდეგნაირად:

ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შენობები	1,537,956	1,693,650
ავტომობილები	44,581	63,541
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	978,095	1,029,532
სულ აქტივების გამოყენების უფლება	2,560,632	2,786,723

სარგებლობის უფლების მქონე აქტივების ამორტიზაციის ხარჯი:

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
შენობები	120,079	233,156
ავტომობილები	18,963	19,365
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	51,437	78,083
სულ აქტივების გამოყენების უფლება	190,479	330,604

5 მარაგები

ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	-	200,242
ნედლეული	5,194,595	1,671,889
	5,194,595	1,872,131

მენეჯმენტმა გადახედა მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას, გაითავალისწინა მის ხელთ არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულებები საანგარიშგებო პერიოდისთვის. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება აღემატება მზა პროდუქციის თვითღირებულებას.

მარაგები არ ყოფილა გამოყენებული კომპანიის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	250,322	255,357
წინასწარ გადახდილი თანხები	278,685	198,398
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(285,433)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,574	453,755

ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მაქსიმალურად უახლოვდება მის რეალურ ღირებულებას. საქონლის გაყიდვების საშუალო საკრედიტო პერიოდია 18 დღე (2020: 21 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტი არ ირიცხება. კომპანიამ ინდივიდუალურად განიხილა თავისი მოთხოვნები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიზნებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22 ა)-ში

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე	4,676	562
	4,676	562

ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი, ნაღდი ფულის ნაშთების გარდა, Fitch- ის საკრედიტო სააგენტოს თანახმად B კატეგორიითაა შეფასებული და არც ვადაგადაცილება და არც გაუფასურება არ ფიქსირდება.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22 ა)-ში

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. საწესდებო კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს აქციონერთა გადაწყვეტილებით.

კომპანიის აქციონერები და მათი წილების სტრუქტურა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

სახელი	ქვეყანა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შპს AE ინვესტ	გერმანია	0%	33%
სს სოლარ AE	მექსიკა	4%	4%
აბდულაჰ აბდულრაჰმან ა. ალმუჰსიენი	საუდის არაბეთის სამეფო	41%	41%
შპს აიონრაიზ (ს.6405390232)	საქართველო	55%	22%

8.2 შენატანები სააქციო კაპიტალში

სხვაობა აქციონერთა უპროცენტო სესხების სამართლიან ღირებულებასა და მათ ნომინალურ ღირებულებას შორის, აღიარების თარიღისთვის, აისახება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში “შენატანები სააქციო კაპიტალ” სახით. ეს სესხები დისკონტირებულია საპროცენტო განაკვეთით 7.6%.

9 სესხები

ლარი	მიმდინარე 2021 წლის 31 დეკემბერი	გრძელვადიანი 2021 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	8,254,786	291,110
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	3,759,149	-
	12,013,935	291,110

ლარი	მიმდინარე 2020 წლის 31 დეკემბერი	გრძელვადიანი 2020 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	2,782,021	1,683,419
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	2,519,964	2,797,688
	5,301,985	4,481,107

საბანკო სესხების დაფარვის ვადა სრულდება 2022 წელს, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი კი შეადგეს 10.33%-ს.

სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 4).

კომპანიამ განსაზღვრა აქციონერთა სესხების რეალური ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთით 7.61%-ით, სესხების 2 წლიანი სახელშეკრულებო ვადის გათვალისწინებით. რეალურ და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარდა კაპიტალის მუხლში სახელწოდებით „დამატებით კაპიტალში შენატანი“.

აქციონერთა სესხის ნომინალური ღირებულებიდან მის რეალურ ღირებულებაზე რეკონსილაციის ეფექტი მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნომინალური თანხა	8,956,323	4,643,372
დისკონტირების ეფექტი რეალურ ღირებულებაზე (რომელიც აღიარებულია კაპიტალში)	(410,427)	(401,740)
რეალური ღირებულება	8,545,896	4,241,632

სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22 (ა) შენიშვნაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შენიშვნა 22 (ა).

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	760,659	1,310,463
გრძელვადიანი	3,124,051	3,591,669
	3,884,710	4,902,132

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა. ყველა იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. თითოეული იჯარა წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. კომპანია ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი

საშუალებების მსგავსად. (იხ. შენიშვნა 4). ყველა საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეზღუდვას იმის თაობაზე, რომ კომპანიას არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს თუ მას არ აქვს კონტრაქტით განსაზღვრული უფლება. საიჯარო აქტივი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოიჯარის მიერ. იჯარები ან არაგაუქმებადია, ან გაუქმებადი, მხოლოდ შესაბამისი შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივების სახეობებს, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით:

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენო-ბა ვადის გაგრძე- ლების უფლებით	იჯარების რაოდენობა ყიდვის უფლებით
ავტომობილები	2	16-28 თვე	24 თვე	-	-
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	4	2-24 თვე	14 თვე	-	-
შენობა	1	76 თვე	76 თვე	1	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია საიჯარო აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ლარში

	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	1,249,205	2,038,060
ფინანსური ხარჯები	(481,574)	(727,622)
	767,631	1,310,438
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	2,644,250	3,806,182
ფინანსური ხარჯები	(791,418)	(2,224,599)
	1,852,832	1,581,583
5 წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	2,017,339	2,520,723
ფინანსური ხარჯები	(753,092)	(510,612)
	1,264,247	2,010,111
წმინდა დღევანდელი ღირებულება	3,884,710	4,902,132

ცხრილში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ მათი კლასების მიხედვით:

ლარში

	საბალანსო ღირებულება (იხ. შენიშვნა 4)		ცვეთის ხარჯი	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილები	44,581	63,541	18,963	19,365
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	978,095	1,029,532	51,437	56,409
შენობა	1,537,956	1,693,650	120,079	233,156
სულ	2,560,632	2,786,723	190,479	308,930

აქტივები გამოყენების უფლებით, მიეკუთვნება იმავე ჯგუფის ელემენტებს, რომელშიც მათი შესაბამისი აქტივები იქნებოდნენ იმ შემთხვევაში თუკი კომპანია იქნებოდა მათი მფლობელი.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,767,218	2,291,241
მიღებული ავანსები	476,354	149,737
საგადასახადო ვალდებულებები	142,587	194,670
სხვა	65,347	180,329
	<u>5,451,506</u>	<u>2,815,977</u>

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ვალდებულება იხდება საკრედიტო დროის ჩარჩოში. საქონლის შეძენისას საშუალო საკრედიტო პერიოდია 6 თვე (2020: 6 თვე).

კომპანიის უცხოური ვალუტის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 22 (ა)-ში.

12 შემოსავალი

ლარში	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საკუთარი წარმოებული პროდუქციიდან	4,690,529	4,235,887
შემოსავალი სარეალიზაციოდ შეძენილი მზა პროდუქციიდან	423,893	192,281
	<u>5,114,422</u>	<u>4,428,168</u>

კომპანია აწარმოებს და ყიდის მზის პანელებს. კომპანია ასევე ყიდულობს სარეალიზაციოდ გამზადებულ მზის პანელებს და ყიდის უცხოურ ბაზარზე. მომხმარებელთა დაახლოებით 98% არარეზიდენტ კომპანიას წარმოადგენს. კომპანია ძირითადად ყიდის შემდეგი ტიპის მზის პანელებს:

- AE300M6-60 FULL BLACK
- AE380M6-72 EXTREME
- AE385M6-72 EXTREME
- AE315M6-60 EXTREME
- AE380M6-72 EXTREME FULL BLACK
- AE SOLAR POWERPLUS solar panel 315W

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, ფასს 15-ის საფუძველზე. კომპანია ყველაზე მეტ შემოსავლებს დაკავშირებული მხარეებისგან იღებს (იხ. შენიშვნა 27.2).

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარში	2021 წელი	2020 წელი
სარეალიზაციოდ შეძენილი მზა პროდუქციის თვითღირებულება	378,098	189,484
სულ	<u>378,098</u>	<u>189,484</u>
ნედლეული	4,771,384	3,906,911
ცვეთის ხარჯი	487,338	359,530
თანამშრომელთა ხელფასი	136,068	241,937
სხვა ხარჯები	25,169	13,599
სულ საკუთარი წარმოებული საქონლის თვითღირებულება	<u>5,419,959</u>	<u>4,521,977</u>
გაყიდული საქონლის მთლიანი ღირებულება	<u>5,798,057</u>	<u>4,711,461</u>

14 სხვა შემოსავალი

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
ნაპატიები სავაჭრო ვალდებულებები ჯგუფის სხვა კომპანიებისაგან	1,013,984	164,894
საიჯარო შეღავათები (Covid 19)	280,960	-
საგადასახადო შეღავათები	283,474	-
	<u>1,578,418</u>	<u>164,894</u>

15 დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
დისტრიბუციის ხარჯი	86,885	457,966
მარკეტინგის ხარჯი	21,477	52,492
თანამშრომელთა ხელფასი	2,679	41,429
რეკლამის ხარჯი	638	927
	<u>111,679</u>	<u>552,814</u>

16 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
თანამშრომელთა ხელფასი	256,112	729,290
ცვეთის ხარჯი	122,422	396,156
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	217,442	194,439
მივლინების ხარჯი	54,144	77,862
კომუნალური ხარჯი	121,868	53,497
საოპერაციო იჯარის ხარჯი	-	24,505
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის ზრდა	285,432	-
ტრანსპორტირების ხარჯი	2,037	18,787
საბანკო ხარჯი	8,301	12,183
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა	333,127	9,487
საოფისე ხარჯი	21,063	829
ანარიცხი	10,209	-
სხვა	116,338	273,380
	<u>1,548,495</u>	<u>1,790,415</u>

17 ფინანსური ხარჯები

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ხელშეკრულებებზე	888,066	830,990
ამორტიზაციის ფინანსური ხარჯი აქციონერთა სესხებზე	-	281,278
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	1,131,244	590,086
	<u>2,019,310</u>	<u>1,702,354</u>

18 ზარალი საკურსო სხვაობიდან

ლარში

	2021 წელი	2020 წელი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(46,649)	12,560
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	1,238,921	(1,589,071)
	1,192,272	(1,576,511)

19 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, იყო:

რუსეთი უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს შეიჭრა და მას შემდეგ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს აწარმოებს. ამის საპასუხოდ, ევროკავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა რუსეთს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. ამ მოვლენებმა გავლენა მოახდინა მიწოდების ჯაჭვებზე, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოებაზე და მთლიანად გლობალურ ეკონომიკაზე, რომლის შედეგების საიმედოდ შეფასება ამ დროისთვის შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია საიმედოდ პროგნოზირება, რამდენ ხანს გაგრძელდება საომარი მოქმედებები და რა იქნება საბოლოო ჯამში ეკონომიკური სანქციების შედეგი. შესაბამისად, ეს შესაძლო ეფექტი არ იყო ასახული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

სესხები - კომპანიამ მიიღო ახალი სასესხო ვალდებულებები დედა კომპანიისგან 1,984,157 ლარის ოდენობით ჯამში სხვადასხვა 6 ტრანშით, შემდეგი თანმიმდევრობით - იანვარში 323,516 ლარი, მარტში 290,772 ლარი, აპრილში 263,650 ლარი, მაისში 129,376 ლარი, ივნისში 129,914 ლარი და ივლისში 506 933 ლარი. ყველა სასესხო ხელშეკრულების ვადიანობა არის 1 წელი.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

20 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

20.1 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საადრიცხო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები შესაძლოა არსებითად განსხვავებული იყოს.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

მენეჯმენტი იყენებს დაშვებებსა და მსჯელობებს ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით დგინდება საბაზისო განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტი)

მახასიათებლებით. კომპანიამ იყენებს ერთი და იმავე დისკონტის განაკვეთს იჯარის პორტფელზე, რომელსაც გააჩნია მეტ-ნაკლებად მსგავსი მახასიათებლები.

მარაგები

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლები და ის ფაქტი რომ სავაჭრო მოთხოვნების არ გადახდის/გაფუჭების შემთხვევაში უკან დაიბრუნებს ანალოგიური ღირებულების მოწყობილობას რომლის ხელახლა გაყიდვასაც მოახდენს თავდაპირველი სარეალიზაციო ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მენეჯმენტმა შეაფასა მისი ძირითადი საშუალებებისა და აქტივით სარგებლობის უფლების აღდგენითი ღირებულებები. გაუფასურების ზარალი არ იქნა აღიარებული, რადგან აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება მათ საბალანსო ღირებულებას. ეს შეფასებები ეფუძნება მთელ რიგ დაშვებებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან, კომპანიისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებასთან. თუ ფაქტობრივი შედეგები განსხვავდება ამ დაშვებებისგან, ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად განსხვავებული იყოს. 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ხელმძღვანელობამ განიხილა გაუფასურების შიდა და გარე ინდიკატორები. ასეთი მაჩვენებლები არ გამოვლენილა.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჩვეულ საქმიანობაში კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. კომპანია კომპანია თავად განსაზღვრავს არის თუ არა ტრანზაქციების ფასი საბაზრო მაძინ, როცა არის აქტიური ბაზარი ასეთი ტრანზაქციისთვის. განსჯის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასის დადგენა.

როგორც მე-9 შენიშვნაშია ასახული, კომპანიის მიერ მიღებული აქციონერთა სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, სესხების გაცემის ხარჯების გამოკლებით. აქციონერთა უპროცენტო სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ამ სესხების ნომინალური ღირებულების დისკონტირებით 7.6%-იანი საშუალო დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მაჩვენებელი გამყარებულია არსებული საბაზრო განაკვეთებით. სხვაობა აქციონერებისგან მიღებული სესხების სამართლიან ღირებულებასა და სახელშეკრულებო თანხას შორის აისახება კაპიტალში „შენატანები სააქციო კაპიტალში“ - მუხლში.

20.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

განგრძობითი ზარალები

კომპანიამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა 2021 და 2020 წლებში. COVID 19-მა და კონტეინერებისა და საკონტეინერო გემების კრიზისმა ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინა ფინანსურ შედეგებზე. ამან შეიძლება მომავალში გამოიწვიოს ფულადი სახსრების ნაკადის პრობლემები და მნიშვნელოვანი დამოკიდებულება აქციონერების დაფინანსებაზე.

კომპანიამ წარმოების პროცესი დაიწყო 2019 წლის ივლისში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიას ჭირდება ორიდან ხუთ წლამდე ბიზნესის სტაბილურობისა და ნულოვანი მოგების წერტილის მისაღწევად.

2021 წელს დედა კომპანიის ახალმა შვილობილმა კომპანიამ (შპს AIONRISE) უზრუნველყო საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამრიგად, კომპანიამ 2022 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში აწარმოა დამატებითი მზა პროდუქცია და მიიღო გაზრდილი შემოსავალი წინა წელთან შედარებით.

კომპანია ასევე დაუკავშირდა ახალ მომხმარებლებს და გააფორმა ახალი კონტრაქტები მომავალი გაყიდვებისთვის.

გარდა ამისა, მენეჯმენტმა მიიღო წერილი ბენეფიციარი მფლობელებისგან, სადაც ისინი აცხადებენ, რომ ისინი პირდაპირ ან ირიბად მიაწვდიან კომპანიას ფინანსურ მხარდაჭერას, რაც შეიძლება საჭირო გახდეს, რათა კომპანიამ შეძლოს დააკმაყოფილოს თავისი მიმდინარე ვალდებულებები და განაგრძოს საქმიანობა კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე ამ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და იყენებს შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს, თუ მენეჯმენტი არ აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან არ აქვს ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო. არ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ამ კუთხით და, შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე.

21 ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	250,322	255,357
ნაღდი ფული და ფული ბანკში	4,676	562
	<u>254,998</u>	<u>255,919</u>

ფინანსური ვალდებულებები

ლარში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	12,305,045	9,783,092
ფინანსური იჯარის ვალდებულება	3,884,710	4,902,132
სავაჭრო ვალდებულებები	4,832,565	2,471,570
	<u>21,022,320</u>	<u>17,156,794</u>

22 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი ქართულ ლარში ხორციელდება.

ვალუტის გაცვლითი კურსის ზემოქმედება წარმოქმნილია კომპანიის საზღვარგარეთის გაყიდვებიდან და შესყიდვებიდან, რომლებიც თავდაპირველად დენომინირებული იყო აშშ დოლარსა და ევროში. კომპანიას აქვს სესხები და საიჯარო ვალდებულებები აშშ დოლარსა და ევროში, რომელიც გამოყენებულია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ლარში

2021 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	2,154	82	2,236
დებიტორული ანგარიში	238,371	6,132	244,503
ფინანსური აქტივების ჯამი	240,525	6,214	246,739
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	5,466,654	3,183,956	8,650,610
იჯარის ვალდებულებები	3,805,058	79,652	3,884,710
გადასახდელი ანგარიშები	3,492,309	752,839	4,245,148
ფინანსური ვალდებულებების ჯამი	12,764,021	4,016,447	16,780,468
წმინდა პოზიცია	(12,523,496)	(4,010,233)	(16,533,729)

ლარი

2020 წლის 31 დეკემბერი

	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
დებიტორული ანგარიში	254,232	-	254,232
ფინანსური აქტივების ჯამი	254,232	-	254,232
ფინანსური ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	4,571,292	5,317,652	9,888,944
იჯარის ვალდებულებები	4,774,199	127,933	4,902,132
გადასახდელი ანგარიშები	1,623,728	602,405	2,226,133
ფინანსური ვალდებულებების ჯამი	10,969,219	6,047,990	17,017,209
წმინდა პოზიცია	(10,714,987)	(6,047,990)	(16,762,977)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2020: 15%) მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2020: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2020: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოგება (როდესაც ლარი გამყარდა 15%)	1,878,524	1,607,248

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოგება (როდესაც ლარი გამყარდა 20%)	601,535	907,199

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მიჩნეულია კომპანიის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმომადგენლად და ვარაუდობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები არ არის წარმოდგენილი მცურავი განაკვეთით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2021	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
ლარი	11.00%	12.10%
აშშ დოლარი	8.00%	7.58%
ევრო	7.00%	7.15%
2020	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
აშშ დოლარი	8.00%	7.46%
ევრო	12.94%	13.36%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს მომხმარებლების საკრედიტო ხარისხს. კომპანიის პოლიტიკაა მხოლოდ კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობა. საკრედიტო პირობები მერყეობს 15-დან 45 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკის მართვა ხდება ვადიანობის ანალიზის რეგულარული მიმოხილვით.

კომპანია არ ფლობს რაიმე ტიპის უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებზე. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს არც სხვა ფინანსურ აქტივებზე.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ზარალი არ ყოფილა.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე 2020 წლის 31 დეკემბრამდე და 2020 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაფერისი ფაქტორი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვანად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის. გადახდების შეუსრულებლობა ინვოისის თარიღიდან 180 დღის განმავლობაში და კომპანიისგან ალტერნატიული გადახდის წყაროების ვერ მოძიება, ითვლება მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გონივრულ ინდიკატორად. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება საანგარიშო პერიოდისთვის იყო:

ლარი

ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები

2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
250,322	255,357
4,676	562
254,998	255,919

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივალ ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021 წლის 31 დეკემბერი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		18.94%	7.6%	
6 თვეზე ნაკლები	4,832,565	812,755	1,103,853	6,749,173
6 თვიდან 1 წლამდე	-	436,450	11,821,446	12,257,896
1-5 წლამდე	-	3,623,628	341,147	3,964,775
5 წელზე მეტი	-	1,443,557	-	1,443,557
	4,832,565	6,316,390	13,266,446	24,415,401

2020 წლის 31 დეკემბერი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური (%)		16.06%	9.7%	
6 თვეზე ნაკლები	2,471,570	1,540,355	1,572,190.0	5,584,115
6 თვიდან 1 წლამდე	-	498,091	6,452,928.0	6,951,019
1-5 წლამდე	-	3,804,714	3,005,372	6,810,086
5 წელზე მეტი	-	2,520,723	-	2,520,723
	2,471,570	8,363,883	11,030,490	21,865,943

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები არის მიმდინარე ფულადი გასავლის მოთხოვნებზე დაბალი.

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

23.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიას არ აქვს პერიოდულ საფუძველზე შეფასებული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის პერიოდებისთვის. საბანკო სესხების საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიანი ღირებულების გონივრულ მიახლოებად. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებასთან.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ამის განსაზღვრის შედეგად, ყველაზე არსებითი კოეფიციენტი არის დისკონტირების განაკვეთი. ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე.

24 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს (შენიშვნა 9).

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ

ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	3,973,597	5,597,256
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(4,676)	(562)
კაპიტალი	3,968,921	5,596,694
მთლიანი კაპიტალი	3,973,597	5,597,256
სესხები	12,305,045	9,783,092
სრული ფინანსირება	16,278,642	15,380,348
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.24	0.36

25 გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

25.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

26 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი

	სესხები	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
2019 წლის 1 დეკემბერი	7,405,427	4,027,226	11,432,653
ფულადი ნაკადები			
შემოსვლა	587,415	-	587,415
დაფარვა	(371,846)	(27,501)	(399,347)
პროცენტის გადახდა	(85,362)	(426,122)	(511,484)
არაფულადი			
რეალური ღირებულების სხვაობა	(118,606)	-	(118,606)
კაპიტალში შენატანზე (იხ. შენიშვნა 9)			
იჯარის მოდიფიკაცია	682,172	2,986	685,158
პროცენტის დარიცხვა	871,364	830,990	1,702,354
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	812,528	494,553	1,307,081
2020 წლის 31 დეკემბერი	9,783,092	4,902,132	14,685,224
ფულადი ნაკადები			
შემოსვლა	4,406,894	-	4,406,894
დაფარვა	(497,604)	(376,077)	(873,681)
პროცენტის გადახდა	(1,651,879)	(1,266,183)	(2,918,062)
არაფულადი			
რეალური ღირებულების სხვაობა	(8,687)	-	(8,687)
კაპიტალში შენატანზე (იხ. შენიშვნა 9)			
პროცენტის დარიცხვა	1,131,244	888,066	2,019,310
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	(858,015)	(263,228)	(1,121,243)
31 დეკემბერი 2021	12,305,045	3,884,710	16,189,755

27 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მფლობელები, საერთო დაქვემდებარების ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის მენეჯმენტი, როგორც აღწერილია ქვემოთ.

27.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია კონტროლდება შემდეგი კომპანიების მიერ:

სახელი	ქვეყანა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შპს აე ინვესტი	გერმანია	0%	33%
სს სოლარ აე	მექსიკა	4%	4%
აბდულაჰ აბდულრაჰმან ა. ალმუჰსიენი	საუდის არაბეთის სამეფო	41%	41%
შპს აიონრაიზ (ს.6405390232)	საქართველო	55%	22%

კომპანიის საბოლოო აქციონერი და მაკონტროლებელი მხარე ფინანსური ანგარიშგების გაცემის მდგომარეობით არის საქართველოს მოქალაქე გიორგი ბაჩიაშვილი.

27.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარისგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები		
<i>მფლობელები</i>		
შემოსავლები სესხებიდან	-	461,467
სესხების დაფარვა	-	265,025
საპროცენტო ხარჯების დარიცხვა	168,773	323,340
სერვისების შეძენა	510,995	-
საქონლის შეძენა	6,977,112	-
გადახდა წინასწარ	449,800	-
საქონლის გაყიდვები	4,347,092	-
<i>საერთო კონტროლ ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
მარაგების შეძენა	511	189,484
სესხები	17,856	117,507
საპროცენტო ხარჯების დარიცხვა	143,862	415
ლარი	2021 წლის 31	2020 წლის 31
ნაშთები	დეკემბერი	დეკემბერი
<i>მფლობელები</i>		
სესხები	2,428,213	4,495,849
სავაჭრო ვალდებულებები	4,583,601	-
სავაჭრო მოთხოვნები	10,761	-
<i>საერთო კონტროლ ქვეშ მყოფი კომპანიები</i>		
სესხები	2,408,209	-
სავაჭრო ვალდებულებები	2,189	240,009

27.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და მათი ოჯახის წევრებთან

კომპანიის დირექტორებსა და მათი ახლო ოჯახის წევრებს 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი წილი არ ჰქონდათ შპს აიონრაიზ-ში.

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	65,963	85,517

შპს აიონრაიზის მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021

ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შესავალი

შპს აიონრაიზი დაარსდა 2016 წელს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქ. ქუთაისში, ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში მდებარე ქარხნის განვითარება და წარმოების გაშვება. შპს აიონრაიზი საქმიანობას წარმოადგენს მზის პანელების წარმოება და მისი გატანა როგორც საზღვარგარეთ ასევე ადგილობრივ ბაზარზე. 2018-2019 წლებში მიმდინარეობდა ქარხნის მოწყობა, გარემონტება, წარმოებისათვის საჭირო დანადგარების შეძენა/დამონტაჟება. ქარხანაში წარმოება დაიწყო 2019 წლის ივლისიდან. 2020 წელს ქარხანამ გაარგძელა წარმოება და რეალიზაცია ბაზარზე, მაგრამ ქარხნის სრული დატვირვით მუშაობაზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოში არსებულმა ეპიდსიტუაციამ. შესაბამისად, 2020 წელს ქარხანა ვერ იყენებდა რესურსებს სრულად და არ მუშაობდა სრული დატვირთვით. 2021 წელს კომპანიაში შემოვიდა ახალი ინვესტორი და ქარხანა წლის ბოლოდან დაიწყო მზადება რომ შესულიყო ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აიონრაიზი ს.კ 405390232, /საქართველო/ - 55%
- სააქციო საზოგადოება სოლარ აე მეხიკო საპი დე ცვ, /მექსიკა/ - 4%
- აბდულა აბდულრაჰმან ა. ალმუჰეისენი /საუდის არაბეთის სამეფო/ 41%

2021 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული არღიცხვის და ანგარიშგების შესახებ კანონის და რეგულაციების მიხედვით არის მეორე კატეგორიის საწარმო. ამავე რეგულაციის შესაბამისად საწარმო არ წარმოადგენს საჯარო დაინტერესების პირს.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

კომპანიის ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს თანამედროვე, მაღალი ხარისხის მზის პანელების წარმოებას და დარწმუნებულია, რომ თავს დაიმკვიდრებს ბაზარზე, ამისთვის კომპანიამ 2020 წელს აიღო TÜV სერთიფიკატი, რაც ბაზარზე თვალსაჩინოს გახდის წარმოებული პროდუქტის მაღალ ხარისხს. კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე მიზნად ისახავს აითვისოს მის ხელთ არსებული დანადგარების სრული რესურსი და შესაბამისად დაასაქმოს მეტი ადამიანი. კომპანიის სტრატეგიის ნაწილია აწარმოოს პროდუქტი, რომელითაც თავს დაიმკვიდრებს ამერიკის ბაზარზე, როგორც მაღალი ხარისხის და საიმედო მწარმოებელი.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო მზადება რათა შესულიყო ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე. 2021 წელს კომპანია გაწევრიანდა აიონრაიზის ქსელში და დაარსდა რამდენიმე sister company როგორც საქართველოში ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალმა აქციონერმა ერთ-ერთ sister company-ში ჩადო ინვესტიცია რაც პირდაპირ კავშირშია ქარხნის გამართულ და სრულ მუშაობასთან.

მიღწევები

კომპანია შეიმუშავა და აწარმოა ახალი მოდელის 60 უჯრედიანი მზის პანელი.

ფინანსური მაჩვენებლების მოკლედ მიმოხილვა

კომპანიამ გამოაქვეყნა თავისი პირველი აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად 2019 წელს. 2022 წელს, ისევე როგორც 2021 წელს, აუდიტორული მომსახურება გაგვიწია შპს „გრანტ თორნთონმა“ (ს.ნ 200136600) და გამოქვეყნებული ანგარიშგება მოიცავს ბოლო 2 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს.

კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები	20,051,935	20,772,009
მოკლევადიანი აქტივები	5,470,481	2,326,448
სულ აქტივები	25,522,416	23,098,457
სულ კაპიტალი	3,881,155	5,597,256
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,415,161	8,072,776
მოკლევადიანი ვალდებულებები	18,226,100	9,428,425
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	25,522,416	23,098,457

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავლები	5,114,422	4,428,168
რპთ	(5,743,015)	(4,711,461)
საერთო ზარალი	(628,593)	(283,293)
სხვა შემოსავლები	1,578,418	164,894
დისტრიბუციის და მარკეტინგის დანახარჯები	(111,679)	(552,814)
ადმინისტრაციის დანახარჯები	(1,695,980)	(1,790,415)
სხვა დანახარჯები	(39,916)	(531)
საოპერაციო ზარალი წლის განმავლობაში	(897,750)	(2,462,159)
ფინანსური დანახარჯები	(2,019,310)	(1,702,354)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი	1,192,272	(1,576,511)
წლის ზარალი	(1,724,788)	(5,741,024)

კომპანიამ 2021 წელს დააფიქსირა ზარალი 1 724 788 ლარი, რაც ნაკლებია 2020 წელს დაფიქსირებულ ზარალზე.

კომპანია განვითარების ამ ეტაპზე ორიენტირებულია რენტაბელობის მიღწევაზე ახლო მომავალში, მენეჯმენტი ვარაუდობს რომ 2022 წელი ნულოვანი მოგების წელი იქნება, ხოლო შემდგომ წლებში წლის სუფთა მოგება გაიზრდება.

რისკის მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკების მართვის მიზანია შესაბამისი ფულადი სახსრების აკუმულირება, კომპანიის მიმდინარე სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯების და კომპანიის საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. ეს უმეტესწილად მიიღწევა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ნასესხები სახსრების და სავაჭრო კრედიტორული დავალიანების გზით. კომპანიის წინაშე მდგარი რისკების მართვის სტრატეგია, საკრედიტო რისკის, ლიკვიდურობის რისკის და საბაზრო რისკის ანალიზი განხილულია ფინანსურ ანგარიშგებებში.

საბაზრო რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს, კონკრეტულად კი სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს, რომლებიც წარმოიშობა როგორც მისი საოპერაციო, ისე საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება გაცვლითი კურსის რყევების გამოწვევები.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ქართულ ლარში ხორციელდება. ვალუტის გაცვლითი კურსის რისკს დაქვემდებარება გამოწვეულია კომპანიის მიერ საზღვარგარეთ შესყიდვებით, რომლებიც ძირითადად აშშ დოლარშია ნომინირებული. ასევე, კომპანიას აქვს სესხები ევროში თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტორი ვერ შეასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან გამომდინარე, მათ შორის ბანკში განთავსებული, ვაჭრობაში და სხვა სავაჭრო მოთხოვნებში არსებული ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი იმართება ინდივიდუალურად, კომპანიის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

ბანკებში არსებული ფულადი ნაშთების და დეპოზიტებთან მიმართებაში არსებული საკრედიტო რისკი იმართება საბანკო დეპოზიტების ფლობის გზით და მხოლოდ ძირითადი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებთან. კომპანია მუდმივად აკონტროლებს კლიენტების საკრედიტო ხარისხს.

კომპანიის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ურთიერთობა იქონიოს მხოლოდ გამართული კრედიტუნარიანობის მქონე კონტრაქტორებთან. საკრედიტო ვადები მერყეობს 5-დან 25 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება მომწიფების ანალიზის რეგულარული მიმოხილვით, ერთ მომხმარებელზე გათვლილ საკრედიტო ლიმიტებთან ერთად. მომსახურების მომხმარებლები ვალდებული არიან წინასწარ გადაიხადონ მომსახურების ყოველთვიური თანხა ავანსად, რაც ამცირებს საკრედიტო რისკს.

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის გარანტიას სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომპანიას არ აქვს სხვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული უზრუნველყოფა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

კომპანიის პოლიტიკას წარმოადგენს ლიკვიდურობის გონივრული მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბება საკმარისი ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების, ასევე მაღალლიკვიდური აქტივების შენარჩუნებით, რათა განხორციელდეს ყველა საოპერაციო და მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახადების დროული დაფარვა ვალის დადგომისას.

ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვისას, განსაკუთრებით მისი ფულადი რესურსებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ლიკვიდურობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ფულადი ნაკადების გადინების მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვადამოსული ხდება 1 თვის განმავლობაში.

კაპიტალის რისკების მართვა

კომპანია მართავს თავის კაპიტალს, რათა უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება და აღეკვეთოს ამონაგები პარტნიორებისათვის.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კომპანიის საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი ზარალებისგან.

მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური საერთო დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს ზედმეტი სესხები. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის დავალიანების სუბორდინაციის დონეს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და აკორექტირებს მას ეკონომიკური პირობების ცვლილებებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი/გადასახდელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანია აკონტროლებს კაპიტალს „წმინდა ვალის“ „კორექტირებულ კაპიტალთან“ თანაფარდობის გამოყენებით, რომელიც ყოველწლიურად უმჯობესდება.

ლარებში

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ჯამური კაპიტალი	3,938,438	5,597,256
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული ბანკში	4,676	562
კორექტირებული კაპიტალი	3,943,114	5,597,818
ჯამური კაპიტალი	3,938,438	5,597,256
სესხები	12,305,045	9,783,092
ჯამური დაფინანსება	16,243,483	15,380,348
წმინდა ვალდებულება კორექტირებულ კაპიტალთან მიმართებით	0.24	0.36

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა


კომპანია თანამშრომლებს სთავაზობს მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტულ სამუშაო გარემოს, რომელიც ჯეროვნად აღჭურვილია ყველა თანამედროვე ტექნოლოგიით, პროფესიონალური და უწყვეტი სამუშაო პროცესის უზრუნველსაყოფად.

2020 წლის ბოლოსათვის კომპანიაში დასაქმებულია 56 ადამიანი, რომლის 40%-ს შეადგენენ ქალები. 2021 წლის ბოლოსათვის კი კომპანიაში დასაქმებული იყო 60 ადამიანი.

კომპანიის თანამშრომლები მუშაობენ სრული განაკვეთით და იყენებენ კომპანიის მიერ შემოთავაზებულ სარგებლის პაკეტს (საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულის გარდა), კერძოდ:

- ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობა დაზღვეულია სადაზღვეო კომპანიის მიერ;
- ზოგიერთი სასწავლო კურსი, სემინარი და ტრენინგი შეიძლება დაფინანსდეს კომპანიის მიერ, რამდენადაც მიჩნეულ იქნება საჭიროდ და მიზნობრივად.

კომპანიის მმართველობა დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების უსაფრთხოებას. უსაფრთხოება ფუნქციურად მოიცავს შიდა და გარე უსაფრთხოებას, ვიდრე მეთვალყურეობის სისტემას, და სახანძრო სისტემას. კომპანია უზრუნველყოფილია პირველადი აუცილებლობის ცეცხლმაქრი აღჭურვილობით, არსებული სტანდარტების შესაბამისად.





კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

კომპანია შეიმუშავა და აწარმოა ახალი მოდელის 60 უჯრედიანი მზის პანელი.

ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

კომპანია არ არის ტოლერანტული კორუფციული ქმედებების მიმართ. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნებისმიერი სახის, ფორმისა და ქრთამის ოდენობის კორუფცია. კომპანიის მმართველობა ძალიან მკაცრად განიხილავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ზიანის მომტანი კომპანიის საქმიანობისა და რეპუტაციისთვის.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან მართონ კომპანია - ანუ აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური მენეჯერი, პასუხისმგებელი არიან ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე.

მმართველობითი

ანგარიშება მომზადებულია

ვალერი კუხალაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი
16 სექტემბერი 2022

ხელმოწერა

ნოდარ კვირიაა
ფინანსური მენეჯერი
16 სექტემბერი 2022

ხელმოწერა

კომპანიის

ბეჭედი

შპს აიონრაიზ
კომპანიის ს.კ 412723218
დირექტორი: ვალერი
კუხალაშვილი
რეგისტრაციის მისამართი:
საქართველო, ქუთაისი, 88
ავტომწარმოებლის ქუჩა,

საკონტაქტო რეკვიზიტები

ფინანსური კითხვებისთვის:
ელ. ფოსტა: nk@aionrise.com

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

კომპანია შეიმუშავა და აწარმოა ახალი მოდელის 60 უჯრედიანი მზის პანელი.

ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

კომპანია არ არის ტოლერანტული კორუფციული ქმედებების მიმართ. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ნებისმიერი სახის, ფორმისა და ქრთამის ოდენობის კორუფცია. კომპანიის მმართველობა ძალიან მკაცრად განიხილავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ზიანის მომტანი კომპანიის საქმიანობისა და რეპუტაციისთვის.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მართონ კომპანია - ანუ აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური მენეჯერი, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშების და მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე.

მმართველობითი


ანგარიშება მომზადებულია

ვალერი კუხალაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

16 სექტემბერი 2022

ხელმოწერა




ნოდარ კვირია

ფინანსური მენეჯერი

16 სექტემბერი 2022

ხელმოწერა



კომპანიის

ბეჭედი

საკონტაქტო რეკვიზიტები

შპს აიონრაიზ

კომპანიის ს.კ 412723218

დირექტორი: ვალერი

კუხალაშვილი

რეგისტრაციის მისამართი:

საქართველო, ქუთაისი, 88

ავტომწარმოებლის ქუჩა,

ფინანსური კითხვებისთვის:

ელ. ფოსტა: nk@aionrise.com